

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №01-3/ნ

2018 წლის 19 ივლისი ქ. თბილისი

**უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმების და მათი
აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების, ასევე, პროფესიული
რეაბილიტაციის წესის, შესაბამისი პროგრამების/კურსების
აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ**

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

1. უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები (დანართი №1).

2. პროფესიული რეაბილიტაციის წესი, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები (დანართი №2).

მუხლი 2

უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმები (პროგრამები), რომლებსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ აკრედიტაცია ამ ბრძანების ამოქმედებამდე, აკრედიტებულად ითვლება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტაციის მინიჭებიდან ორი წლის განმავლობაში, შესაბამისი კრედიტ-ქულების ჩათვლის გარეშე.

მუხლი 3

პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამები/კურსები, რომლებსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ აკრედიტაცია ამ ბრძანების ამოქმედებამდე, აკრედიტებულად ითვლება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტაციის მინიჭებიდან ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 4

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „სახელმწიფო სერტიფიკატის ახალი ვადით გასაგრძელებლად უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ექიმების მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 23 იანვრის №25/ნ ბრძანება.

2. „უწყვეტი პროფესიული განვითარების ცალკეული კომპონენტის მიხედვით სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ახალი ვადით გაგრძელებისათვის საჭირო უწყვეტი პროფესიული განვითარების ქულების რაოდენობისა და სამედიცინო განათლების სხვადასხვა ფორმების შესაბამისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ქულების მინიჭების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ნოემბრის №274/ნ ბრძანება.

მუხლი 5

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

დანართი №1

უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები

მუხლი 1. უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმები

1. უწყვეტი სამედიცინო განათლება (შემდგომში – უსგ) – უწყვეტი პროფესიული განვითარების კომპონენტია, რომელიც მოიცავს როგორც თვითგანათლებას, ისე ფორმალიზებული სწავლების/მზადების პროგრამებში მონაწილეობას, აგრეთვე სხვადასხვა საქმიანობებს, რომლებიც ექიმის პროფესიული ცოდნის და უნარ-ჩვევების განმტკიცებას და გაუმჯობესებას უწყობს ხელს (კონგრესებში, კონფერენციებში მონაწილეობა, ნაშრომების გამოქვეყნება, სწავლება და სხვა). უსგ-ის მიზანია ექიმმა შეინარჩუნოს, შეიძინოს და/ან განავითაროს ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და პროფესიული პრაქტიკა, რომელსაც იგი იყენებს პაციენტებისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების პროცესში.

2. არსებობს უსგ-ის შემდეგი ფორმები:

- ა) დასწრებული;
- ბ) დაუსწრებელი;
- გ) სამეცნიერო.

3. უსგ-ის დასწრებული ფორმებია ფორმალიზებული, ექიმის უშუალო ჩართულობით მიმდინარე სასწავლო აქტივობები, რომელსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) პროფესიული განვითარების საბჭოს

(შემდგომში – საბჭო) აკრედიტაციის საფუძველზე ახორციელებს შესაბამისი უფლების მქონე პირი. უსგ-ის დასწრებულ ფორმებს მიეკუთვნება: (2.05.2019 N 01-38/6)

ა) მოკლევადიანი (2-10 დღე) სწავლება/ტრენინგები;

ბ) პროფესიული კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი და სხვ.

4. უსგ-ის დაუსწრებელ ფორმებს მიეკუთვნება:

ა) ელექტრონულ პლატფორმაზე დაფუძნებული ინტერნეტპროგრამა (ონლაინკურსი);

ბ) შესაბამისი ონლაინპლატფორმების მქონე მიმწოდებლის მიერ ინტერნეტის საშუალებით მიწოდებული დასკვნითი შეფასების კითხვარით (პოსტტესტირებით) თანხმლები ინფორმაციის გაცნობა და დამუშავება.

5. უსგ-ის სამეცნიერო ფორმებს მიეკუთვნება:

ა) მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს ან კლინიკური რეკომენდაციის (გაიდლაინი)/კლინიკური სტანდარტის (პროტოკოლი) გამოქვეყნება და/ან მომზადება/აღიარება;

ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის/ სისტემური მიმოხილვის მომზადება/გამოქვეყნება.

მუხლი 2. უსგ აქტივობების მიმწოდებლები

უსგ აქტივობების განხორციელების უფლება აქვთ:

ა) დარგობრივ პროფესიულ ორგანიზაციებს;

ბ) სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს;

გ) სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

დ) სამეცნიერო დაწესებულებებს;

ე) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო (მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის) სამსახურებს.

მუხლი 3. უსგ აქტივობების აღიარება

1. საქართველოში აღიარებულია უსგ აქტივობები, რომლებიც აკრედიტებულია საბჭოს მიერ.

2. უსგ აქტივობების აკრედიტაციით საბჭო აღიარებს, რომ აღნიშნული აქტივობები არის ხარისხიანი და, აქედან გამომდინარე, მათში მონაწილეობა დადებითად აისახება ექიმის კომპეტენციასა და პროფესიონალიზმზე.

3. საქართველოში აღიარებულია №1.1 დანართით განსაზღვრული ქვეყნების შესაბამისი ორგანოების, ასევე, ევროპის უწყვეტი პროფესიული განათლების სააკრედიტაციო საბჭოს – EACCME მიერ აკრედიტებული უსგ აქტივობები/მიმწოდებლები და მათ დამატებითი აკრედიტაცია არ სჭირდებათ.

4. უსგ აქტივობების აკრედიტაცია უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

ა) საგანმანათლებლო აქტივობა უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო საჭიროებებს (მ.შ. იძლეოდეს ცოდნის, უნარ-ჩვევების, მიდგომების გაუმჯობესება/შემდგომის საშუალებას);

ბ) ის უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა ემსახურებოდეს ფარმაცევტული საშუალებებისა და სხვადასხვა სამედიცინო აღჭურვილობის პრომოციას;

გ) მან უნდა შეუწყოს ხელი სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას;
დ) მზადების ფორმატი უნდა იძლეოდეს სასურველი შედეგის მიღწევის საშუალებას. ამ მიზნით შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს ლექციები, ლიტერატურის დამუშავება, მცირე ჯგუფებში მუშაობა, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება და სხვ.;

ე) მისი შინაარსი უნდა ეფუძნებოდეს უახლეს, მაღალი სანდოობის (peer reviewed and up-to-date) მტკიცებულებებს;

ვ) საგანმანათლებლო პროცესი უნდა ფასდებოდეს და შეფასების შედეგებს პროგრამის მიმწოდებელი უნდა იყენებდეს საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

5. აკრედიტაციის პროცედურა მოიცავს:

ა) საბჭოსადმი აკრედიტაციის მაძიებლის მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენას;

ბ) საბჭოს სამდივნოს (სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო) მიერ დოკუმენტაციის შეფასებას; (22.10.2019 N01-89/ნ ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან)

გ) საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

6. უსგ-ის როგორც დასწრებული, ასევე, დაუსწრებელი აქტივობების აკრედიტაციის მიზნით მაძიებელმა საბჭოს უნდა წარუდგინოს განაცხადი აკრედიტაციის მოთხოვნის შესახებ (პროფესიული კონფერენციის, კონგრესის, ფორუმის პარალელური სესიების შემთხვევაში, განაცხადში, ასევე, მიეთითება ინფორმაცია სესიების რაოდენობის თაობაზე) და, ასევე, შემდეგი დოკუმენტაცია: (2.05.2019 N 01-38/6)

ა) ბრძანების №1.2 დანართით განსაზღვრული უწყვეტი სამედიცინო განათლების აქტივობის სასწავლო მასალის/პროგრამის წარმოდგენის ფორმა (პროფესიული კონფერენციის, კონგრესის, ფორუმის და სხვა პარალელური სესიების შემთხვევაში აღნიშნულ ფორმაში მიეთითება დეტალური ინფორმაცია სესიების რაოდენობის და მასში მონაწილე მსმენელთა შესახებ (ნაწილი I, პუნქტი 2 (ერთდროულად რამდენი მსმენელის მონაწილეობაა შესაძლებელი ერთ კურსში)), ასევე VI ნაწილის (სწავლების მეთოდები) პირველ პუნქტში – თითოეული სესიის განხორციელების ზუსტი განრიგი (ლექცია-სემინარების და სხვა კომპონენტების მითითებით) დღეების და საათების მიხედვით);

ბ) რეკომენდაცია (რეკომენდაციები), რომელიც ადასტურებს უსგ აქტივობის შესაბამისობას ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პრინციპებთან, შემდეგი სქემით:

ბ.ა) იმ შემთხვევაში, თუ უსგ აქტივობა წარმოდგენილია დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის მიერ, დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციების გაერთიანების რეკომენდაცია;

ბ.ბ) იმ შემთხვევაში, თუ უსგ აქტივობა წარმოდგენილია ამ დანართის მე-2 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული უსგ აქტივობების მიმწოდებლების მიერ, 2 სათანადო დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის ან სათანადო დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციისა და დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციების გაერთიანების ან სათანადო დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის (დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციების გაერთიანების და დარგობრივი ექსპერტის) რეკომენდაციები.

7. უსგ-ის დასწრებულ ფორმებში მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: (2.05.2019 N 01-38/6)

- ა) მოკლევადიანი (2-10 დღე) სწავლება/ტრენინგები – არაუმეტეს 20 მსმენელისა;
- ბ) პროფესიული კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი და სხვ. – ერთ სესიაზე მსმენელთა რაოდენობა არაუმეტეს 100 (დასაშვებია პარალელური სესიები);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმსა და სხვ. მსმენელთა რაოდენობა (მ.შ., ერთ სესიაზე) აღემატება 100-ს, აღნიშნულ აქტივობას ენიჭება აკრედიტაცია, ხოლო უპკ ქულების რაოდენობა განისაზღვრება ამ დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

8. უსგ-ის დასწრებულ ფორმაში – მოკლევადიანი (2-10 დღე) სწავლება/ტრენინგები პედაგოგთა/ტრენერთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 6-ს. (2.05.2019 N 01-38/6)

მუხლი 4. უსგ-ის დასწრებული და დაუსწრებელი აქტივობების აკრედიტაცია

1. განაცხადის წარდგენის შემდეგ საბჭოს სამდივნო ამოწმებს განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას ამ დანართის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკრედიტაციის მაძიებელს ეძლევა ვადა დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად, რომლის თაობაზეც მაძიებელს ეცნობება საბჭოს სამდივნოს მიერ.

2. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტები, საბჭოს სამდივნოს მიერ მაძიებელს ეგზავნება ოფიციალური შეტყობინება განაცხადზე უარის თქმის შესახებ.

3. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში საბჭოს სამდივნო აფასებს სააკლიკაციო ფორმატით განსაზღვრული ინფორმაციის შესაბამისობას უწყვეტი სამედიცინო განათლების აქტივობის აკრედიტაციის კრიტერიუმებთან (დანართი №1.3).

4. საბჭოს სამდივნო უფლებამოსილია, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვაში ჩართოს დარგობრივი პროფესიული ორგანიზაცია/დარგობრივი ექსპერტი.

5. გადაწყვეტილებას პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, საბჭოს სამდივნოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იღებს საბჭო.

6. საბჭო სამდივნოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აკრედიტაციის და სათანადო უწყვეტი პროფესიული განვითარების (შემდგომში – უპკ) კრედიტ-ქულების (შემდგომში – ქულები) მინიჭების შესახებ;

ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

7. უსგ აქტივობებს აკრედიტაცია ენიჭებათ შემდეგი ვადით:

ა) დასწრებული აქტივობები: (2.05.2019 N 01-38/6)

ა.ა) მოკლევადიანი (2-10 დღე) სწავლება/ტრენინგები – 2 წელი;

ა.ბ) პროფესიული კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი და სხვ. – განისაზღვრება ერთჯერადად.

ბ) დაუსწრებელი აქტივობები – 2 წელი. (2.05.2019 N 01-38/6)

8. ამ დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქვეყნების სათანადო ორგანიზაციების, ასევე, ევროპის უწყვეტი პროფესიული განათლების სააკრედიტაციო

საბჭოს – EACCME მიერ აკრედიტებული უსგ აქტივობები საქართველოში ითვლება აკრედიტებულად. საქართველო ასევე აღიარებს აღნიშნული უსგ აქტივობების ფარგლებში მინიჭებულ კრედიტ-ქულებს.

მუხლი 5. კრედიტ ქულების მინიჭების კრიტერიუმები

1. უსგ-ის დაუსწრებულ აქტივობებში მონაწილეობისათვის გაიცემა I ტიპის უპგ ქულები შემდეგი პრინციპის მიხედვით:

ა) უპგ ქულების რაოდენობა განისაზღვრება აკრედიტაციის პროცესში საბჭოს მიერ;

ბ) უსგ-ის დაუსწრებელ ფორმებში მონაწილეობისათვის უპგ ქულები გაიცემა შემდეგი პრინციპით:

ბ.ა) უპგ-ის თეორიული (დიდაქტიკური შინაარსის) ფორმები – 6 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ბ.ბ) კლინიკური შემთხვევა – 3 უპგ ქულა (არაუმეტეს).

გ) ერთი წლის განმავლობაში უსგ-ის დაუსწრებელ ფორმებში მონაწილეობისათვის გაიცემა 30 უპგ ქულა (არაუმეტეს).

2. უსგ-ის დასწრებულ ფორმებში მონაწილეობისათვის I ტიპის უპგ ქულის გასაცემი ოდენობა განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული მხოლოდ უშუალოდ სწავლის/მზადების ხანგრძლივობის საფუძველზე, ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, მონაწილეთა რეგისტრაციის, პრეტესტირების (არსებობის შემთხვევაში), შესვენებების და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარებისათვის განკუთვნილი დროის ჩათვლელად: (2.05.2019 N 01-38/6)

ა) მოკლევადიანი (2-10 დღე) სწავლება/ტრენინგები:

ა.ა) მსმენელი:

ა.ა.ა) 1 საათი (60 წუთი) – 1 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ა.ა.ბ) ნახევარი დღე (3 საათი – 180 წუთი) – 3 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ა.ა.გ) მთელი დღე (6 საათი – 360 წუთი) – 6 უპგ ქულა (არაუმეტეს);

შენიშვნა: ერთ კურსში მონაწილეობისთვის გაიცემა არაუმეტეს 50 უპგ ქულია. ამავდროულად, უსგ-ს დასწრებულ ფორმებში მონაწილეობისათვის მისანიჭებელი I ტიპის უპგ ქულების რაოდენობა დამრგვალდება შემდეგი პრინციპით: 60 წუთი – 1 უპგ ქულა; 60 წუთი <პროგრამის ხანგრძლივობა<180 წუთი – 1 უპგ ქულა; 180 წუთი – 3 უპგ ქულა; 180 წუთი<პროგრამის ხანგრძლივობა<360 წუთი – 3 უპგ ქულა; 360 წუთი – 6 უპგ ქულა. მსმენელს უპგ ქულა ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული მოცულობის სრულად გავლის შემთხვევაში, აკრედიტაციისას დადგენილი უპგ ქულის შესაბამისად.

ა.ბ) პროგრამის ავტორებს I ტიპის უპგ ქულები მიენიჭებათ პროგრამის აკრედიტაციისთანავე, პროგრამის აკრედიტაციისას დადგენილი უპგ ქულების ოდენობით;

ა.გ) პროგრამის ჩატარების შემდეგ ავტორებს განმეორებით (ერთჯერადად), ხოლო განმახორციელებლებს (პედაგოგი (ტრენერი)) ერთჯერადად მიენიჭებათ I ტიპის უპგ ქულები. პედაგოგებს (ტრენერებს) უპგ ქულები ენიჭებათ პროგრამის აკრედიტაციისას დადგენილი უპგ ქულების ოდენობით;

ბ) პროფესიულ კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვ. დასწრება:

ბ.ა) 1 საათი (60 წუთი) – 1 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ბ.ბ) ნახევარი დღე (3 საათი – 180 წუთი) – 3 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ბ.გ) მთელი დღე (6 საათი – 360 წუთი) – 6 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ბ.დ) აქტიური მონაწილე;

ბ.დ.ა) სპიკერი, სესიის თავმჯდომარე, პანელის წევრი 1 საათი (60 წუთი)) – 2 უპგ ქულა (არაუმეტეს);

ბ.დ.ბ) პრეზენტაცია (ხანგრძლივობა არანაკლებ 30 წუთი) 1 საათი (60 წუთი) – 4 უპგ ქულა (არაუმეტეს, მაგრამ არანაკლებ 2 უპგ ქულისა).

ბ.ე) პოსტერის მომზადება – 1 უპგ ქულა (არაუმეტეს).

შენიშვნა: ერთ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მსმენელზე გაიცემა არაუმეტეს 12 ქულისა; ერთი წლის განმავლობაში პროფესიულ კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვ. დასწრებისათვის გაიცემა 20 უპგ ქულა (არაუმეტეს). ამავდროულად, პროფესიულ კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვ. მონაწილეობისათვის მისანიჭებელი I ტიპის უპგ ქულების რაოდენობა დამრგვალდება შემდეგი პრინციპით: 60 წუთი – 1 უპგ ქულა; 60 წუთი <ღონისძიების ხანგრძლივობა<180 წუთი – 1 უპგ ქულა; 180 წუთი – 3 უპგ ქულა; 180 წუთი<ღონისძიების ხანგრძლივობა<360 წუთი – 3 უპგ ქულა; 360 წუთი – 6 უპგ ქულა. მსმენელს უპგ ქულა ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული მოცულობის სრულად გავლის შემთხვევაში, აკრედიტაციისას დადგენილი უპგ ქულის შესაბამისად.

გ) პროფესიულ კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვ. დასწრება, რომელზეც მსმენელთა რაოდენობა (მ.შ. ერთ სესიაზე) აღემატება 100-ს – დღეში 2 უპგ ქულა (არაუმეტეს, ამასთან, 3 საათი (180 წუთი) – 1 უპგ ქულა). ამ შემთხვევაში აქტივობას უპგ ქულა ენიჭება არაუმეტეს 3 დღისა.

3. სამეცნიერო აქტივობებისათვის გაიცემა I ტიპის უპგ ქულები შემდეგი პრინციპის მიხედვით:

ა) მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს მომზადება/გამოცემა – არაუმეტეს 24 უპგ ქულა;

ბ) კლინიკური რეკომენდაციის (გაიდლაინი)/კლინიკური სტანდარტის (პროტოკოლი) მომზადება/აღიარება – არაუმეტეს 12 უპგ ქულა ;

გ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის და/ან სასწავლო მასალის გამოქვეყნება:

გ.ა) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი 0:

გ.ა.ა) პირველი ავტორი – 2 უპგ ქულა (არაუმეტეს);

გ.ა.ბ) სხვა ავტორები – 1 უპგ ქულა (არაუმეტეს).

გ.ბ) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი ≤ 3 :

გ.ბ.ა) პირველი ავტორი – 4 უპგ ქულა (არაუმეტეს);

გ.ბ.ბ) სხვა ავტორები – 2 უპგ ქულა (არაუმეტეს).

გ.გ) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი ≤ 6 :

გ.გ.ა) პირველი ავტორი – 8 უპგ ქულა (არაუმეტეს);

გ.გ.ბ) სხვა ავტორები – 4 უპგ ქულა (არაუმეტეს).

გ.დ) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი 6-ზე მეტი:

გ.დ.ა) პირველი ავტორი – 12 უპგ ქულა (არაუმეტეს);

გ.დ.ბ) სხვა ავტორები – 6 უპგ ქულა (არაუმეტეს).

დ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის და/ან სასწავლო მასალის მიმოხილვის გამოქვეყნება:

- დ.ა) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი 0 – 1 უპე ქულა (არაუმეტეს);
- დ.ბ) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი ≤ 3 – 3 უპე ქულა (არაუმეტეს);
- დ.გ) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი ≤ 6 – 6 უპე ქულა (არაუმეტეს);
- დ.დ) ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი 6-ზე მეტი – 10 უპე ქულა (არაუმეტეს).

4. დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის ავტორს (ავტორთა ჯგუფს) სარეზიდენტო პროგრამის აკრედიტაციისას ენიჭება I ტიპის 12 უპე ქულა (არაუმეტეს).

5. საექიმო სუბსპეციალობის პროგრამის ავტორს (ავტორთა ჯგუფს) სუბსპეციალობის პროგრამის აკრედიტაციისას ენიჭება I ტიპის 6 უპე ქულა (არაუმეტეს).

6. უსგ-აქტივობებს უპე კრედიტ ქულები ენიჭებათ აკრედიტაციისთანავე. რაც შეეხება უპე ქულების მინიჭებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“, „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებითა და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, უპე ქულების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული განვითარების საბჭო, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. (2.05.2019 N 01-38/6)

7. პროფესიული კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი და სხვ. შესაძლებელია, მიმდინარეობდეს პარალელური სესიების ფორმით. ამ შემთხვევაში თითოეულ პარალელურ სესიას უპე ქულები ენიჭება ამ მუხლით განსაზღვრული წესით. (2.05.2019 N 01-38/6)

მუხლი 6. უსგ-ის დასწრებული აქტივობების განხორციელება

1. უპე დასწრებული აქტივობების განმახორციელებელი ვალდებულია, ყოველი თვის ბოლო კვირას საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ თვეში დაგეგმილი პროგრამ(ებ)ის თაობაზე, პროგრამის ჩატარების თარიღისა და ადგილის მითითებით. გამონაკლის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია საბჭოს სამდივნოს შესაძლებელია, წარედგინოს კონკრეტული პროგრამის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღემდე (გამონაკლისია პროფესიული კონფერენციები, კონგრესები, ფორუმები და სხვ., რომელთა თაობაზეც საბჭოს სამდივნოს ინფორმაციის წინასწარ მიწოდება არ ესაჭიროება). (2.05.2019 N 01-38/6)

2. უპე დასწრებული აქტივობების განმახორციელებელი ვალდებულია, საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია (მ.შ. ელექტრონულად) აქტივობებში მონაწილე პირებისა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საექიმო სპეციალობის დასახელება) და პედაგოგების (ტრენერების) (სახელი, გვარი, საათობრივი დატვირთვა) შესახებ პროგრამის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღემდე, ასევე, პროგრამის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში (აღნიშნული, ასევე, ვრცელდება პროფესიულ კონფერენციებზე, კონგრესებზე, ფორუმებზე და სხვ.). აღნიშნული ინფორმაციის საბჭოს სამდივნოში წარმოდგენილობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაისვას საკითხი აქტივობისათვის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ. (2.05.2019 N 01-38/6)

3. უწყვეტი სამედიცინო განათლების დასწრებული აქტივობები უნდა ჩატარდეს უწყვეტი სამედიცინო განათლების აქტივობის სასწავლო მასალის/პროგრამის წარმოდგენის ფორმაში (დანართი №1.2) მითითებულ აქტივობის განხორციელების ადგილზე.

4. უწყვეტი სამედიცინო განათლების დასწრებულ აქტივობებში ექიმის მონაწილეობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით (აღნიშნული არ ვრცელდება პროფესიულ კონფერენციებზე, კონგრესებზე, ფორუმებზე და სხვა): (2.05.2019 N 01-38/6)

ა) აკრედიტებულ უსგ დასწრებულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატის და შესაბამისი კრედიტსაათების მისაღებად ექიმმა (მსმენელმა) დასრულებისას წარმატებით უნდა გაიაროს დასკვნითი შეფასება;

ბ) აქტივობის ათვისების დასკვნითი შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს კითხვარს. კითხვარი შევსებულად ჩაითვლება, თუ სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა აღემატება 75.5% და მეტი;

გ) აქტივობის დასკვნითი შეფასება შეიძლება მოიცავდეს სხვა სახის შეფასებასაც (მაგ., გარკვეული ამოცანის გადაჭრა, პრაქტიკული ჩვენების დემონსტრაცია და სხვა).

5. აქტივობის განმახორციელებელი ვალდებულია, აწარმოოს რეესტრი, რომელშიც შეიტანს ინფორმაციას თითოეული აქტივობის, მათ მონაწილეთა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საექიმოს სპეციალობა) და მის ფარგლებში მინიჭებული კრედიტების შესახებ.

6. აქტივობის განმახორციელებელი ვალდებულია, დანერგილი ჰქონდეს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც მოიცავს:

ა) აქტივობის შეფასებას მსმენელების მიერ;

ბ) აქტივობის შეფასებას ტრენერების/პედაგოგების მიერ;

გ) შეფასების შედეგების მიხედვით აქტივობის განხორციელების გაუმჯობესების მექანიზმებს.

7. საბჭოს სამდივნო უფლებამოსილია, განახორციელოს მიმდინარე უსგ-ის მონიტორინგი (მ.შ. ელექტრონული პროგრამების გამოყენებით). მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევების (განაცხადში მითითებულ მონაწილეთა მიერ სესიის გაცდენა, ტრენერის/პედაგოგის ცვლილება, ტრენინგის ვადაზე ადრე დასრულება და სხვ.) საფუძველზე, შესაძლებელია, დაისვას საკითხი აქტივობისათვის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ. (2.05.2019 N 01-38/6)

8. უსგ-ის დაუსწრებელი აქტივობების მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველი თვის 10 რიცხვამდე საბჭოს სამდივნოს მიაწოდოს ინფორმაცია წინა თვეში აქტივობებში მონაწილე პირების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საექიმო სპეციალობის დასახელება), ასევე, მათთვის მინიჭებული უპგ ქულების შესახებ.

9. ამ მუხლის პირველი – მე-8 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება ამ დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მაკრედიტებელი ორგანიზაციების მიერ აკრედიტებულ უსგ აქტივობებზე.

მუხლი 7. უსგ-ის დაცვა კომერციული ინტერესებისაგან

დასაშვებია, რომ უსგ აქტივობა დააფინანსოს სამედიცინო/ფარმაცევტულ ბიზნესში მომუშავე ორგანიზაციამ (მ.შ., ფარმაცევტულმა კომპანიამ), თუმცა ამ ფაქტმა ზეგავლენა არ უნდა იქონიოს პროგრამის წარმართვასა და მის შინაარსზე. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) კომერციული მასალა არ უნდა იყოს გამოფენილი ან გავრცელებული უშუალოდ უსგ პროცესში (მაგალითად, მასალა შეიძლება გამოიფინოს ფოიეში, კორიდორში და არა სასწავლო ოთახში);

ბ) დაინტერესებული ორგანიზაციის (მ.შ., ფარმაცევტული კომპანიის) წარმომადგენელი შეიძლება ესწრებოდეს უსგ კურსს, მაგრამ უსგ აქტივობის წარმართვის განმავლობაში (მის დასრულებამდე) ის არ უნდა იყოს დაკავებული პროდუქციის რეკლამირებით, გაყიდვით და ა.შ.;

გ) უსგ პროგრამის დამფინანსებელი უშუალოდ არ უნდა მონაწილეობდეს აქტივობის პროგრამის შემუშავებაში. მან შეიძლება დააფინანსოს მხოლოდ მასალების მომზადება (ტექნიკური მხარდაჭერა);

დ) სასწავლო მასალა ხელს არ უნდა უწყობდეს სპონსორის კომერციული ინტერესების დაკმაყოფილებას.

დანართი 1.1

ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა შესაბამისი ორგანოების მიერ აკრედიტებული უსგ აქტივობები/მიმწოდებლები აღიარებულია საქართველოში:

ა) ევროკავშირის ქვეყნები: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, დანია, ირლანდია, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია;

ბ) ავსტრალია;

გ) კანადა;

დ) ისლანდია;

ე) ისრაელი;

ვ) იაპონია;

ზ) სამხრეთი კორეა;

თ) ახალი ზელანდია;

ი) ნორვეგია;

კ) შვეიცარია;

ლ) ამერიკის შეერთებული შტატები;

მ) ლიხტენშტეინი;

ნ) სამხრეთი აფრიკა.

ო) სინგაპური. (2.05.2019 N 01-38/6)

დანართი 1.2 (2.05.2019 N 01-38/6)

უწყვეტი სამედიცინო განათლების აქტივობის სასწავლო მასალის/პროგრამის წარმოდგენის ფორმა

I. აქტივობის დასახელება _____

აქტივობის ფორმა:

– დასწრებული

–დაუსწრებელი

აქტივობის სახე:

–მოკლევადიანი (2-10 დღე) სწავლება/ტრენინგები

–კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი

–ელექტრონულ პლატფორმაზე დაფუძნებული ინტერნეტპროგრამა (ონლაინკურსი)

აქტივობის განმახორციელებელი (დაწესებულება/ორგანიზაცია): _____

დასახელება _____

მისამართი: ქალაქი _____ საფოსტო ინდექსი _____

ტელეფონი _____ ელფოსტა _____

აქტივობის განხორციელების ადგილი

მისამართი: ქალაქი _____ საფოსტო ინდექსი _____

ხანგრძლივობა (საათებში) _____

აქტივობის ჩატარების დადგენილი თარიღი (თარიღები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წარმომდგენი: _____

თანამდებობა: _____

წარმომდგენის თარიღი _____

II. ვისთვის არის სასწავლო მასალა/აქტივობა განსაზღვრული

1. მიუთითეთ საექიმო სპეციალობა ან სპეციალობები, საჭიროებისას – ექიმის თანამდებობა და/ან დაწესებულების ტიპი

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

2. ერთდროულად რამდენი მსმენელის მონაწილეობაა შესაძლებელი ერთ კურსში

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

III. სასწავლო მასალის/პროგრამის მიზანი

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

IV. სასწავლო მასალის/პროგრამის ამოცანები (რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მსმენელს პროგრამის გავლის შემდეგ)

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

V. სასწავლო მასალის/პროგრამის საჭიროების/აქტუალობის დასაბუთება
ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მიესადაგება თქვენ მიერ წარმოდგენილ
სასწავლო მასალას/პროგრამას (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე)

- პროგრამაში განხილული დაავადება/პრობლემა შერჩეულია ქვეყანაში ან მის რომელიმე რეგიონში არსებული ეპიდემიოლოგიური მონაცემების საფუძველზე (დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამა ეხება ახალ სადიაგნოზო, სამკურნალო, საპროფილაქტიკო და სარეაბილიტაციო რეკომენდაციას (გაიდლაინს), ან მეთოდს, ან ტექნოლოგიას ან ექიმის პროფესიული საქმიანობისათვის მნიშვნელოვან სხვა ახალ ინფორმაციას (დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამით გათვალისწინებული საკითხები მოცემული სპეციალობისთვის არატრადიციულია, მაგრამ მას შეიცავს სპეციალობის თანამედროვე აღწერილობა (დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით (დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამით გათვალისწინებული საკითხების პრიორიტეტულობა წარმოჩნდა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების საფუძველზე (დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამით გათვალისწინებული საკითხები შეესაბამება პროფესიული ორგანიზაციების რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხის აქტუალობის შესახებ (დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამით გათვალისწინებული საკითხები შეესაბამება უსგ წინა ციკლების მონაწილეთა მიერ პროგრამის შეფასებისას დაფიქსირებულ აქტუალურ საკითხებს (მსმენელთა გამოკითხვის შედეგებს; დააკონკრეტეთ ქვემოთ);
- პროგრამით გათვალისწინებული საკითხები შეესაბამება წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით ექიმების გამოკითხვის დროს დაფიქსირებულ აქტუალურ საკითხებს (დააკონკრეტეთ ქვემოთ);

- დააკონკრეტეთ ზემოთ თქვენ მიერ მონიშნული საკითხები; საჭიროებისას დაასახელეთ სხვა არგუმენტები და გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს პროგრამის აქტუალობას:

VI. სწავლების მეთოდები

1. აქტივობის განხორციელების ზუსტი განრიგი (ლექცია-სემინარების და სხვა კომპონენტების მითითებით) დღეების და საათების მიხედვით (დაურთეთ ცალკე)
2. ინფორმაციის მიწოდების რა ფორმა გამოიყენება (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე):

- ლექცია/სემინარი
- ვიდეოფილმი
- აუდიომასალა (საკლასო ან საშინაო დავალების სახით)
- ნაბეჭდი მასალა (საშინაო დავალების სახით)
- სხვა (დააკონკრეტეთ)

3. გამოყენებული სადემონსტრაციო მასალა (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე):

- ხელით გაკეთებული აღნიშვნები დაფაზე, დიდი ფორმატის ფურცლებზე
- პლაკატები, ნაბეჭდი სქემები
- გამჭვირვალე ფირფიტები პროექტორით საჩვენებლად
- სლაიდები სლაიდპროექტორისთვის
- სლაიდები კომპიუტერული პროექტორისთვის (power point პრეზენტაცია)
- სხვადასხვა „მულტიმედიური“ სადემონსტრაციო მასალა კომპიუტერული პროექტორისთვის
- მულაჟები
- სხვა (დააკონკრეტეთ)

4. რა ინტერაქტიური მეთოდები გამოიყენება (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე):

- დისკუსია წინასწარ შერჩეულ საკითხებზე
- კონკრეტული შემთხვევების გარჩევა
- წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე მომზადებული მსმენელთა მოკლე მოხსენებები
- სხვა

5. სხვა (შეავსეთ საჭიროებისას)

VII. აქტივობის განხორციელებისათვის არსებული რესურსები

1. ტექნიკური რესურსები (ფართობი, აღჭურვილობა, სხვა)

VIII. სასწავლო მასალის/პროგრამის დახასიათება, გამოყენებული ლიტერატურა

1. ანოტაცია, ძირითადი თეზისები, რა მასალას ეყრდნობა სასწავლო მასალაში/პროგრამაში ასახული ინფორმაცია (ელექტრონული რესურსების მითითებისას – სათანადო ვებგვერდები)

| |
|--|
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

2. ინტერაქტიური მუშაობის დროს გამოყენებული მასალის დახასიათება (დაურთეთ ნიმუში)

| |
|--|
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

3. სადემონსტრაციო მასალის დახასიათება (დაურთეთ ნიმუში)

| |
|--|
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

4. მსმენელთათვის დასარიგებელი მასალის ჩამონათვალი (დაურთეთ ნიმუში)

| |
|--|
| |
| |
| |
| |
| |

5. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

| |
|-------|
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |

6. სხვა დამატებითი ინფორმაცია (მაგ., ხომ არ არის პროგრამა მომზადებული რომელიმე სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო სათანადოდ აკრედიტებული უსგ პროგრამის ბაზაზე, ან ხომ არ გამოიყენება რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული უსგ პროგრამა)

| |
|-------|
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |

IX. აქტივობის ეფექტურობის შეფასების გზები

1. მსმენელის შეფასება აქტივობის განმახორციელებლის მიერ (არ ვრცელდება პროფესიული კონფერენციებზე, კონგრესებზე, ფორუმებსა და სხვ. შესაბამის აქტივობებზე)

| |
|--|
| ა) თეორიული ცოდნის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი პუნქტები; დაურთეთ ნიმუში): * ტესტური შეფასება კურსის დაწყებამდე; * ტესტური შეფასება კურსის შემდეგ; * სხვა სახის შეფასება კურსის დაწყებამდე; * სხვა სახის შეფასება კურსის შემდეგ; (დააკონკრეტეთ) _____ _____ _____ _____ |
| ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი პუნქტები; ივსება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლას): * შეფასება კურსის დაწყებამდე; * შეფასება კურსის შემდეგ; დააკონკრეტეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების რა მეთოდი გამოიყენება (დაურთეთ შეფასების დასაფიქსირებელი ფორმის ნიმუში) |

XI. მსმენელთა მონაწილეობის დოკუმენტირების მეთოდები (დაურთეთ ნიმუში)

მსმენელთა სიის ფორმა;

მსმენელთა დასწრების აღრიცხვის ფორმა; პროგრამის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (სერტიფიკატზე მითითებული უნდა იყოს, რომ პროგრამა აკრედიტებულია საბჭოს მიერ, აგრეთვე, აკრედიტაციის თარიღი, ვადა და ნომერი);

სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ფორმა;

სხვა (დააკონკრეტეთ).

XII. სასწავლო მასალის/პროგრამის დამფინანსებელი

ვინ იხდის მსმენელის პროგრამაში მონაწილეობის საფასურს (მონიშნეთ ყველა შესაბამისი პუნქტი)

* მსმენელი; * დამქირავებელი; * ოტდმუხსდ¹ სამინისტრო; * სხვა

(დააკონკრეტეთ)-----

XIII. რამდენად თავისუფალია სასწავლო მასალა/პროგრამა კომერციული ზეგავლენისგან

(ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამას ჰყავს სპონსორი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სამკურნალო საშუალების, აღჭურვილობის ან მეთოდის, ან სამედიცინო მომსახურების ან სხვა რაიმე პროდუქციის თუ მომსახურების რეალიზაციის ინტერესი)

1. აღწერეთ ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავს პროგრამის შინაარსსა და პროფესიულ ღირებულებაზე სპონსორის კომერციული ინტერესების ზეგავლენას

| |
|--|
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |
| |

1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დანართი №1.3

უწყვეტი სამედიცინო განათლების აქტივობის აკრედიტაციის კრიტერიუმები

1. აქტუალობა, საჭიროება:

ფასდება, არის თუ არა სასწავლო მასალის/პროგრამის გათვალისწინებულ საკითხებში უსგ-ის კურსის ჩატარების საჭიროება, რისთვისაც საბჭო, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს შესაბამის პუნქტებს – „მიზანს“, „ამოცანებს“, „სამიზნე კონტინგენტს“ (ვისთვის არის პროგრამა განსაზღვრული) და „საჭიროების დასაბუთებას“. სასწავლო მასალის/პროგრამის აქტუალობა შეიძლება დასაბუთდეს ქვემოთ ჩამოთვლილი არგუმენტებით. ამასთან, შესაძლებელია, რომ საკითხის აქტუალობაზე მიუთითებდეს რამდენიმე ფაქტორი ერთად. მხოლოდ ერთი კრიტერიუმი, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს სასწავლო მასალის/პროგრამის აქტუალობის დასაბუთებლად. სასწავლო მასალის/პროგრამის აქტუალობის სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს შემდეგი:

ა) სასწავლო მასალის/პროგრამის შინაარსი ფოკუსირებულია დაავადებაზე/პათოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც ეპიდემიოლოგიური მონაცემების მიხედვით განაპირობებს ავადობის, სიკვდილობის, ინვალიდობის მაღალ მაჩვენებლებს ჩვენ ქვეყანაში, ქვეყნის რომელიმე რეგიონში ან სამედიცინო დაწესებულებაში;

ბ) სასწავლო მასალა/პროგრამა ეთმობა უახლეს, მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის საფუძველზე შემუშავებულ და აღიარებულ, სადიაგნოზო, სამკურნალო, საპროფილაქტიკო და/ან სარეაბილიტაციო რეკომენდაციას (გაიდლაინს), მეთოდს ან ტექნოლოგიას, რომელიც პროგრამის ავტორმა მოიძია სამეცნიერო-პროფესიული ლიტერატურის და ინფორმაციის სხვა წყაროების შესწავლის საფუძველზე, ან/და თავად აითვისა;

გ) სასწავლო მასალა/პროგრამა ფოკუსირებულია ისეთი სფეროზე, სადაც აუცილებელია ცოდნისა და უნარ-ჩვევების პერიოდული განმტკიცება-განახლება, რადგან ამა თუ იმ სადიაგნოზო ან სამკურნალო მეთოდის არაადეკვატურად გამოყენება შეიძლება

დაკავშირებული იყოს სერიოზული გართულებების განვითარების რისკთან (მაგ., სხვადასხვა ინვაზიური პროცედურები, კარდიოპულმონური რეანიმაცია და სხვა; აღნიშნულ საკითხებში მზადება შეიძლება რეკომენდებული იყოს გარკვეული პერიოდულობით, მაგ., ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ);

დ) სასწავლო მასალა/პროგრამა ეხება სფეროს (დაავადების/პათოლოგიური მდგომარეობის მართვას, საპროფილაქტიკო ღონისძიებებს), სადაც დაფიქსირებულია საპროფილაქტიკო, სადიაგნოზო თუ სამკურნალო პრინციპების, მეთოდების და სტანდარტების მნიშვნელოვანი არაერთგვაროვნება (სხვადასხვა სპეციალისტები/დაწესებულებები იყენებენ მნიშვნელოვნად განსხვავებულ მიდგომას);

ე) სასწავლო მასალაში/პროგრამაში წარმოჩენილი საკითხის პრიორიტეტულობა დადგენილია სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებისას ექიმთა ცოდნასა და უნარ-ჩვევებში გამოვლენილი ნაკლის საფუძველზე.

2. გამოყენებული ლიტერატურა:

ა) სასწავლო მასალაში/პროგრამაში ასახული ლიტერატურა (მსმენელისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია, რომელიც ანოტაციის და თეზისების სახით არის წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამაში) უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს და ამოცანებს;

ბ) სასწავლო მასალაში/პროგრამაში ასახული მასალა უნდა ეყრდნობოდეს კვლევის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდების გამოყენებით მიღებულ შედეგებს, მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის პრინციპებს (და არა ერთეული ექიმის ცოდნას და გამოცდილებას); ამასთან, მასალა უნდა იყოს ახალი და ასახავდეს თანამედროვე მედიცინაში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებს;

გ) სასწავლო მასალაში/პროგრამაში მითითებული ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს ძირითად მასალას – მსმენელისათვის მისაწოდებელ ინფორმაციას, რომელიც ანოტაციის და თეზისების სახით არის წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამაში.

3. სწავლების მეთოდები:

ა) უნდა შეფასდეს, იძლევა თუ არა სასწავლო მასალაში/პროგრამაში მოცემული მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას. მაგალითად, თუ ის მიზნად ისახავს პრაქტიკული ჩვევების შეძენას/გამყარებას, შესაბამისად სასწავლო მასალაში/პროგრამაში გამოყენებული იყოს უნდა მეთოდები, რომლებიც მსმენელს საშუალებას მისცემს პრაქტიკულად შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. აღნიშნულისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს მულაჟი (მანეკენი), ექიმის ასისტირება რაიმე მანიპულაციის ჩატარებისას და სხვა;

ბ) გამოყენებული უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელის აქტიურ მონაწილეობას: დისკუსიას, კონკრეტული შემთხვევების კლინიკურ გარჩევებს, სიტუაციურ ამოცანებს, წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე მომზადებულ მსმენელთა მოხსენებებს, კლინიკური შემთხვევის კომპიუტერულ იმიტაციას და სხვა; უნდა შეფასდეს აღნიშნული მასალის დახასიათება (სიტუაციური ამოცანის თუ კლინიკური შემთხვევის ნიმუში და სხვა), რომელიც პროგრამაშია მოცემული, აგრეთვე თანდართული ნიმუშები, რათა დარწმუნდეს, რომ პროგრამის მომწოდებელს აქვს ასეთი მასალის შედგენის და გამოყენების უნარი.

4. სასწავლო მასალის/პროგრამის ეფექტურობის შეფასების გზები:

ა) განიხილება, რამდენად ადეკვატურია მსმენელთა შეფასების მეთოდები. ამასთან, უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა კითხვარი ან საგამოცდო საკითხები სასწავლო მასალით/პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს;

ბ) გამოყენებულია თუ არა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდი, თუ სასწავლო მასალის/პროგრამის ამოცანებს განეკუთვნება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა მსმენელებისთვის;

გ) დაუშვებელია, რომ სასწავლო მასალა/პროგრამა (გარდა პროფესიული კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სხვ.) არ მოიცავდეს მსმენელების შეფასებას (ტესტურ გამოკითხვას, საჭიროებისას სიტუაციურ ამოცანებსა და პრაქტიკული ჩვევების შესაფასებელ მეთოდს). (2.05.2019 N 01-38/6)

5. მსმენელთა მონაწილეობის დოკუმენტირების მეთოდები – ფასდება რამდენად ადეკვატურია მსმენელთა მონაწილეობის დოკუმენტირების მეთოდები:

ა) იძლევა თუ არა მსმენელთა აღრიცხვის ფორმა ინფორმაციის “აკურატულად”/ობიექტურად დაფიქსირების საშუალებას;

ბ) ასახავს თუ არა სერტიფიკატი ყველა საჭირო ინფორმაციას (მ.შ. მსმენელის სახელი, გვარი, სერტიფიკატის ნომერი, ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ (თარიღი, ვადა და ნომერი), მინიჭებული კრედიტების რაოდენობა).

6. უსგ სასწავლო მასალის/პროგრამის განმახორციელებლის შეფასება:

საბჭო აფასებს შეესაბამება თუ არა აქტივობის განმახორციელებლის რესურსები (ტექნიკური და ადამიანური) სასწავლო მასალას/პროგრამას, ანუ შეძლებს თუ არა განმცხადებელი მის განხორციელებას. უსგ სასწავლო მასალის/პროგრამის განმახორციელებლის რესურსების შეფასება შეიძლება მოიცავდეს ადგილზე ვიზიტსაც.

დანართი №2

პროფესიული რეაბილიტაციის წესი, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები

მუხლი 1

1. პროფესიული რეაბილიტაცია არის უწყვეტი პროფესიული განვითარების კომპონენტი, რომელიც გულისხმობს შედარებით ხანგრძლივი (1–5-თვიანი) სწავლების/მზადების კურსის გავლას და რომლის მიზანია ექიმის პროფესიული კომპეტენციის აღდგენა/ამაღლება კონკრეტულ საექიმო სპეციალობაში.

2. პროფესიული რეაბილიტაცია მოიცავს როგორც გრძელვადიან (1–5 თვე) სწავლების/მზადების პროგრამებზე/კურსებზე დასწრებას, ასევე, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) განმახორციელებელ დაწესებულებებში (მ.შ. უცხოეთში) სტაჟირებას/პროფესიულ განვითარებას.

3. საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს პროფესიული რეაბილიტაციის პროცესში ექიმ-სპეციალისტთა მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მუხლი 2

1. პროფესიული რეაბილიტაციის სწავლების/მზადების პროგრამების/კურსების განხორციელების უფლება აქვთ:

ა) სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს;

ბ) სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

გ) იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, უზრუნველყონ კურსის კლინიკური კომპონენტის მოწოდება;

დ) დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამების განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებებს/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებზეც მინიჭებული აქვთ აკრედიტაცია.

2. საქართველოში აღიარებულია პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამები/კურსები, რომლებიც აკრედიტებულია საბჭოს მიერ.

3. პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამების/კურსების აკრედიტაციით საბჭო აღიარებს, რომ აღნიშნული პროგრამები/კურსები არის ხარისხიანი და აქედან გამომდინარე, მათში მონაწილეობა დადებითად აისახება ექიმის კომპეტენციაზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში სამედიცინო დაწესებულებებს/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამების/კურსების განხორციელების მიზნით დამატებით აკრედიტაციის მოპოვება არ ესაჭიროებათ. ამ შემთხვევაში პროფესიულ რეაბილიტაციად განიხილება სარეზიდენტო პროგრამის კონკრეტული მოდულ(ებ)ის დასრულება, რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტით.

5. პროფესიული რეაბილიტაციის ფარგლებში, ასევე, განიხილება იმ ქვეყნების დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) განმახორციელებელ დაწესებულებებში სტაჟირება/პროფესიული განვითარება, რომლებიც განსაზღვრულია №1.1 დანართის შესაბამისად და რომელთა ხანგრძლივობა შეესაბამება ამ წესით განსაზღვრულ პირობებს.

მუხლი 3

1. პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის/კურსის აკრედიტაციის მიზნით მამდიებელმა საბჭოს უნდა წარუდგინოს განაცხადი აკრედიტაციის მოთხოვნის შესახებ და ასევე, შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის/კურსის წარმოდგენის ფორმა (დანართი №2.1);

ბ) არანაკლებ 2 სათანადო დარგობრივი ორგანიზაციის/დარგობრივი ექსპერტის (2 სათანადო დარგობრივი ორგანიზაცია ან სათანადო დარგობრივი ორგანიზაცია და დარგობრივი ექსპერტი) რეკომენდაცია, რომლებიც ადასტურებენ პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის/კურსის შესაბამისობას მის მიზნებთან.

2. არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკრედიტაციის მამდიებელს ეძლევა ვადა დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად, რომლის თაობაზეც მამდიებელს ეცნობება საბჭოს სამდივნოს მიერ.

3. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში არ იქნება წარდგენილი შესაბამისი

დოკუმენტები, საბჭოს სამდივნოს მიერ მაძიებელს ეგზავნება ოფიციალური შეტყობინება (დოკუმენტი) განაცხადზე უარის თქმის შესახებ.

4. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში საბჭოს სამდივნო აფასებს სააპლიკაციო ფორმატით განსაზღვრული ინფორმაციის შესაბამისობას პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის/კურსის აკრედიტაციის კრიტერიუმებთან (დანართი №2.2).

5. საბჭოს სამდივნო უფლებამოსილია, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვაში ჩართოს დარგობრივი პროფესიული ორგანიზაცია/დარგობრივი ექსპერტი.

6. გადაწყვეტილებას პროგრამის აკრედიტაციის შესახებ, საბჭოს სამდივნოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, იღებს საბჭო.

7. საბჭო სამდივნოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;

ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

8. პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამას/კურსს უპგ-ქულები არ ენიჭება.

9. პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამას/კურსს აკრედიტაცია ენიჭება ხუთი წლის ვადით.

დანართი №2.1

პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის/კურსის წარმოდგენის ფორმა

პროგრამის/კურსის დასახელება _____

პროგრამის/კურსის ხანგრძლივობა _____

პროგრამის/კურსის განმხორციელებელი (დაწესებულება/ორგანიზაცია):
დასახელება _____

მისამართი: ქალაქი _____ საფოსტო ინდექსი _____

ტელეფონი _____ ელ-ფოსტა _____

პროგრამის/კურსის განხორციელების ადგილი

მისამართი: ქალაქი _____ საფოსტო ინდექსი _____

წარმომდგენი: თანამდებობა _____

წარმომდგენის თარიღი _____

I. ვისთვის არის პროგრამა/კურსი განსაზღვრული

1. მიუთითეთ საექიმო სპეციალობა ან სპეციალობები, საჭიროებისას – ექიმის თანამდებობა და/ან დაწესებულების ტიპი

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

2. ერთდროულად რამდენი მსმენელის მონაწილეობაა შესაძლებელი ერთ კურსში

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

II. პროგრამის/კურსის მიზანი

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

III. პროგრამის/კურსის ამოცანები (რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მსმენელს პროგრამის გავლის შემდეგ)

| |
|-------|
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |
| ----- |

IV. პროგრამის/კურსის საჭიროების/აქტუალობის დასაბუთება

V. სწავლების მეთოდები

1. ინფორმაციის მიწოდების რა ფორმა გამოიყენება (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე):

- ლექცია/სემინარი
- ვიდეოფილმი
- აუდიომასალა (საკლასო ან საშინაო დავალების სახით)
- ნაბეჭდი მასალა (საშინაო დავალების სახით)
- სხვა (დააკონკრეტეთ)

2. გამოყენებული სადემონსტრაციო მასალა (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე):

- ხელით გაკეთებული აღნიშვნები დაფაზე, დიდი ფორმატის ფურცლებზე
- პლაკატები, ნაბეჭდი სქემები
- გამჭირვალე ფირფიტები პროექტორით საჩვენებლად
- სლაიდები სლაიდ-პროექტორისთვის
- სლაიდები კომპიუტერული პროექტორისთვის (power point პრეზენტაცია)
- სხვადასხვა „მულტიმედიური“ სადემონსტრაციო მასალა კომპიუტერული პროექტორისთვის
- მულაჟები
- სხვა (დააკონკრეტეთ)

VII. ძირითადი მასალის დახასიათება, გამოყენებული ლიტერატურა

1. ანოტაცია, ძირითადი თეზისები, რა მასალას ეყრდნობა პროგრამაში/კურსში ასახული ინფორმაცია (ელექტრონული რესურსების მითითებისას – სათანადო ვებგვერდები)

| |
|---|
| <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> |
|---|

2. ინტერაქტიური მუშაობის დროს გამოყენებული მასალის დახასიათება (დაურთეთ ნიმუში)

| |
|---|
| <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> |
|---|

3. სადემონსტრაციო მასალის დახასიათება (დაურთეთ ნიმუში)

| |
|---|
| <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> |
|---|

4. მსმენელთათვის დასარიგებელი მასალის ჩამონათვალი (დაურთეთ ნიმუში)

| |
|-------------------------------------|
| <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> |
|-------------------------------------|

5. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

| |
|-------|
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |

6. სხვა დამატებითი ინფორმაცია (მაგ., ხომ არ არის პროგრამა მომზადებული რომელიმე სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო სათანადოდ აკრედიტებული პროგრამის/კურსის ბაზაზე)

| |
|-------|
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |
| _____ |

VIII. პროგრამის/კურსის ეფექტურობის შეფასების გზები

1. მსმენელის შეფასება პროგრამის/კურსის განმხორციელებლის მიერ

| |
|--|
| ა) თეორიული ცოდნის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი პუნქტები; დაურთეთ ნიმუში): * ტესტური შეფასება კურსის დაწყებამდე; * ტესტური შეფასება კურსის შემდეგ; * სხვა სახის შეფასება კურსის დაწყებამდე; * სხვა სახის შეფასება კურსის შემდეგ; (დააკონკრეტეთ) ----- _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ |
| ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება: * შეფასება კურსის დაწყებამდე; * შეფასება კურსის შემდეგ; დააკონკრეტეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების რა მეთოდი გამოიყენება (დაურთეთ შეფასების დასაფიქსირებელი ფორმის ნიმუში) |

2. მსმენელების მიერ პროგრამის/კურსის ანონიმური შეფასება

რა მეთოდი გამოიყენება (დაურთეთ ნიმუში)

* კითხვარის შევსება;

* სხვა (დააკონკრეტეთ) -----

3. პროგრამის/კურსის ეფექტურობის შეფასების სხვა რა მეთოდი გამოიყენება

IX. პროგრამის/კურსის ხანგრძლივობის დასაბუთება

X. მსმენელთა მონაწილეობის დოკუმენტირების მეთოდები (დაურთეთ ნიმუში)

| |
|--|
| <p>* მსმენელთა სიის ფორმა</p> <p>* მსმენელთა დასწრების აღრიცხვის ფორმა; * პროგრამის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (სერტიფიკატზე მითითებული უნდა იყოს, რომ პროგრამა აკრედიტებულია საბჭოს მიერ, აგრეთვე, აკრედიტაციის თარიღი, ვადა და ნომერი)</p> <p>* სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ფორმა;</p> <p>* სხვა (დააკონკრეტეთ)</p> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> <hr/> |
|--|

დანართი 2.2

პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამის/კურსის აკრედიტაციის კრიტერიუმები

1. აქტუალობა, საჭიროება ფასდება, შეესაბამება თუ არა პროგრამით/კურსით გათვალისწინებული საკითხები პროგრამის მიზანს და ამოცანებს და ორიენტირებულია თუ არა სამიზნე კონტიგენტზე (ვისთვისაც არის პროგრამა განსაზღვრული). ამასთან, ფასდება, რომ:

ა) პროგრამა/კურსი ეთმობა უახლეს მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის საფუძველზე შემუშავებულ და აღიარებულ სადიაგნოზო, სამკურნალო, საპროფილაქტიკო და/ან სარეაბილიტაციო მეთოდების ან ტექნოლოგიის შესწავლას;

ბ) პროგრამა/კურსი ფოკუსირებულია ისეთ სფეროზე, სადაც აუცილებელია ცოდნისა და უნარ-ჩვევების პერიოდული განმტკიცება-განახლება, რადგან ამა თუ იმ სადიაგნოზო ან სამკურნალო მეთოდის არაადეკვატურად გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს სერიოზული გართულებების განვითარების რისკთან;

გ) პროგრამა/კურსი ეხება სფეროს (დაავადების/პათოლოგიური მდგომარეობის მართვას, საპროფილაქტიკო ღონისძიებებს), სადაც დაფიქსირებულია საპროფილაქტიკო, სადიაგნოზო თუ სამკურნალო პრინციპების, მეთოდების და სტანდარტების მნიშვნელოვანი არაერთგვაროვნება (სხვადასხვა სპეციალისტები/ დაწესებულებები იყენებენ მნიშვნელოვნად განსხვავებულ მიდგომას);

დ) პროგრამაში/კურსში წარმოჩენილი საკითხის პრიორიტეტულობა დადგენილია სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებისას ექიმთა ცოდნასა და უნარ-ჩვევებში

გამოვლენილი ნაკლის საფუძველზე.

2. გამოყენებული მასალა, ლიტერატურა და ა.შ.:

ა) პროგრამაში/კურსში ასახული მასალა (მსმენელისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია, რომელიც ანოტაციის და თეზისების სახით არის წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამაში) უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის/კურსის მიზანს და ამოცანებს;

ბ) პროგრამაში/კურსში ასახული მასალა უნდა ეყრდნობოდეს კვლევის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდების გამოყენებით მიღებულ შედეგებს, მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის პრინციპებს (და არა ერთი ექიმის ცოდნას და გამოცდილებას); ამასთან, მასალა უნდა იყოს ახალი და ასახავდეს თანამედროვე მედიცინაში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებს;

გ) პროგრამაში/კურსში მითითებული ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მასალას – მსმენელისათვის მისაწოდებელ ინფორმაციას, რომელიც ანოტაციის და თეზისების სახით არის წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამაში.

3. სწავლების მეთოდები:

ა) უნდა შეფასდეს, იძლევა თუ არა პროგრამაში/კურსში მოცემული მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას, მაგალითად, პრაქტიკული ჩვევების შექმნა/გამყარების შესაძლებლობას (აღნიშნულისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს მულაჟი (მანეკენი), ექიმის ასისტირება რაიმე მანიპულაციის ჩატარებისას და სხვა);

ბ) გამოყენებული უნდა იყოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელის აქტიურ მონაწილეობას: დისკუსიას, კონკრეტული შემთხვევების კლინიკური გარჩევებს, სიტუაციურ ამოცანებს, წინასწარ მიცემული დავალების საფუძველზე მომზადებულ მსმენელთა მოხსენებებს, კლინიკური შემთხვევის კომპიუტერულ იმიტაციას და სხვა; უნდა შეფასდეს აღნიშნული მასალის დახასიათება (სიტუაციური ამოცანის თუ კლინიკური შემთხვევის ნიმუში და სხვა), რომელიც პროგრამაშია მოცემული, აგრეთვე თანდართული ნიმუშები, რათა დარწმუნდეს, რომ პროგრამის მომწოდებელს აქვს ასეთი მასალის შედგენის და გამოყენების უნარი;

გ) ფასდება მსმენელთათვის მომზადებული ნაბეჭდი მასალა. ნაბეჭდი მასალა უნდა ასახავდეს პროგრამის შინაარსს და მის ძირითად დასკვნებს, რეკომენდაციებს; აგრეთვე, რეკომენდებულ ლიტერატურას და სხვა რესურსებს (მაგ., ინტერნეტის მისამართები და სხვა).

4. პროგრამის/კურსის ეფექტურობის შეფასების გზები:

ა) განიხილება, რამდენად ადეკვატურია მსმენელთა შეფასების მეთოდები. ამასთან, უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა კითხვარი ან საგამოცდო საკითხები პროგრამით/კურსით გათვალისწინებულ მასალის ძირითად ნაწილს;

ბ) გამოყენებულია თუ არა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდი;

გ) დაუშვებელია, რომ პროგრამა/კურსი არ მოიცავდეს მსმენელების შეფასებას (ტესტურ გამოკითხვას, საჭიროებისას სიტუაციურ ამოცანებსა და პრაქტიკული ჩვევების შესაფასებელ მეთოდს).

5. მსმენელთა მონაწილეობის დოკუმენტირების მეთოდები ფასდება რამდენად

ადეკვატურია მსმენელთა მონაწილეობის დოკუმენტირების მეთოდები:

ა) იძლევა თუ არა მსმენელთა აღრიცხვის ფორმა ინფორმაციის

„აკურატულად“/ობიექტურად დაფიქსირების საშუალებას;

ბ) ასახავს თუ არა სერტიფიკატი ყველა საჭირო ინფორმაციას (მ.შ.პროგრამის/კურსის დასახელება, მსმენელის სახელი, გვარი, სერტიფიკატის ნომერი, ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ (თარიღი, ვადა და ნომერი), მინიჭებული კრედიტების რაოდენობა).

6. პროგრამის/კურსის განმხორციელებლის შეფასება – საბჭო აფასებს, შეესაბამება თუ არა პროგრამის განმხორციელებლის რესურსები (ტექნიკური და ადამიანური) პროგრამას ნუ შეძლებს თუ არა განმცხადებელი პროგრამის განხორციელებას. უსგ პროგრამის განმხორციელებლის რესურსების შეფასება შეიძლება მოიცავდეს ადგილზე ვიზიტსაც.